ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-66

12 ივნისი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-4 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016461) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულებაში" და დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი" ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ახდენს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას".

2. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ" ქვეპუნქტი:

„მ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის და/ან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშებას".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) პროექტის წარდგენის მიზეზი/მისი ძირითადი არსი:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქცია.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშების უფლებამოსილება, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მე-3 პუნქტში მოცემული ფორმულის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მომართვისა და წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

დადგენილების ამოქმედება არ იწვევს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) დადგენილების პროექტის წარმდგენი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.